- მესამე კლასში რომ ვიყავი, ჭექა-ქუხილის ხმამ ძალიან შემაშინა, ახლაც კი მეშინია ხოლმე, სიმართლე რომ გითხრათ, მაგრამ მივხვდი, რომ ამ დროს უცნაური, მაგრამ საინტერესო რამ ხდება: ენერჯია გამოიყოფა, ხომ სწორად გავიგე თქვენი ნათქვამი?
- მეც ძალიან გამიხარდა, დრო რომ გაქვთ და საუბარი შეგვიძლია!
- აბა, გისმენ!
- კი, გოგი, ჭექა-ქუხილი ფიზიკური მოვლენაა და მაგ დროს ყოველთვის გამოიყოფა ერთგვარი ენერჯია. ენერჯია კი არასდროს იკარგება, ის მხოლოდ ერთი ფორმიდან მეორეში გადადის.
- ძალიან, ძალიან საინტერესოა, ბატონო დავით! იქნებ დამისახელოთ დამატებითი ლიტერატურა, სიამოვნებით წავიკითხავ და უფრო მეტ შეკითხვასაც დავსვამ!

**ელექტრობა**

- დიდი მადლობა, ბატონო დავით, ხვალამდე!
- გოგი, ლიტერატურასაც დაგისახელებ და რამდენიმე ბმულსაც მიგიითთებ ენერჯის ალტერნატიულ წყაროებზე გადაცემების მოსასმენად.
- ხვალამდე, გოგი!

**1.13. სწორად დალაგებულ გეგმაზე დაყრდნობით (1.12) დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი:**

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

**1.14. კიდევ ერთხელ მოისმინეთ დიალოგი და ჩასვით გამოტოვებული სიტყვები:**

- ბატონო დავით, გამარჯობა!
- გაგიმარჯოს გოგი!
- რა კარგ ..... ხარ, რა ხდება?
- დიახ, დღეს თქვენ ჩემთვის ძალიან საინტერესო საკითხზე ისაუბრეთ, ბევრი .....  
..... მაქვს, თუ ცოტა დრო გაქვთ, იქნებ ვისაუბროთ?
- სიამოვნებით, ჩამოჯექი სკამზე, მიხარია, გაკვეთილმა ასე რომ დაგაინტერესა!
- მეც ძალიან გამიხარდა, დრო რომ გაქვთ და საუბარი შეგვიძლია!
- აბა, გისმენ!
- მესამე კლასში რომ ვიყავი, ..... ხმამ ძალიან შემაშინა, ახლაც კი მეშინია ხოლმე, სიმართლე რომ გითხრათ, მაგრამ მივხვდი, რომ ამ დროს უცნაური, მაგრამ საინტერესო რამ ხდება: ..... გამოიყოფა, ხომ სწორად გავიგე თქვენი ნათქვამი?
- კი, გოგი, ჭექა-ქუხილი ფიზიკური ..... და მაგ დროს ყოველთვის გამოიყოფა ერთგვარი ენერჯია. ენერჯია კი არასდროს იკარგება, ის მხოლოდ ერთი .....  
..... მეორეში გადადის.
- ძალიან, ძალიან საინტერესოა, ბატონო დავით! იქნებ დამისახელოთ დამატებითი ლიტერატურა, სიამოვნებით წავიკითხავ და უფრო მეტ შეკითხვასაც დავსვამ!
- გოგი, ლიტერატურასაც დაგისახელებ და რამდენიმე ბმულსაც მიგიითთებ ენერჯის .....  
წყაროებზე გადაცემების მოსასმენად.
- დიდი მადლობა, ბატონო დავით, ხვალამდე!
- ხვალამდე, გოგი!

1.15. გადახაზეთ ზედმეტი სიტყვა:

ა) ჭექა-ქუხილი	ელვა	ვარსკვლავი
ბ) ინტერესი	ბედნიერება	სიხარული
გ) ჭრელი	ერთგვარი	ერთნაირი
დ) კინეტიკური ენერგია	პოტენციური ენერგია	რკინის ბურთულა

1.16. დააკავშირეთ სიტყვები განმარტებებთან:

ჭექა-ქუხილი	რჩევა, დარიგება, სამოქმედო გზის დასახვა.
სიხარული	ატმოსფერული მოვლენა, რომლის დროსაც ღრუბლებსა და დედამიწის ზედაპირს შორის წარმოიქმნება ძლიერი ელექტრული განმუხტვა — ელვა, რომელსაც თან ახლავს ქუხილი.
მითითება	გრძნობა, რომელსაც იწვევს სასიამოვნო რამ, — სიამოვნების, კმაყოფილების განცდა.

1.17. გადაანაწილეთ ცხრილში ზმნები:

*გომავს გავომა გავომავს გაუზომავს გავომვა გავომავდა ასწევს ასწევა ასწევდა გარდაქმნის გარდაქმნა გარდაუქმნია გარდაქმნიდა იჭერს იჭერდა დაუჭერია დაიჭერდა დაჭერა დაიჭერს სწევს სწევდა აწევა აუწევია ასწევდა უხარია სიხარული უხაროდა გაუხარდა გაუხარდებოდა გახარება*

რას შვრება?	
რას შვრებოდა?	
რას შვრებოდეს?	
მომავალი (რას იზამს?)	
რას იზამდა?	
რას იზამდეს?	
რა?	



**1.18. შეადგინეთ კითხვითი წინადადებები:**

**ნიმუში:** ენერგია არის მატერიის ერთი ძირითადი თვისებათაგანი \_მუშაობის შესრულების უნარი  
არის ენერგია მატერიის ერთი ძირითადი თვისებათაგანი \_მუშაობის შესრულების უნარი?

1. ენერგია არის მატერიის მოქმედება, სხეულის მუშაობა, რომელიც გამოიყენება პრაქტიკული მიზნებისათვის.

2. არსებობს მექანიკური, სითბური, ელექტრული, ქიმიური და სხვა სახის ენერგიები.

3. არსებობს მექანიკური, სითბური, ელექტრული, ქიმიური და სხვა სახის ენერგიები.

**1.19. შეადგინეთ დადებითი და უარყოფითი შინაარსის მქონე წინადადებები:**

**ნიმუში:** სტუდენტები სწავლობენ კინეტიკურ და პოტენციურ ენერგიას →  
სტუდენტები არ სწავლობენ კინეტიკურ და პოტენციურ ენერგიას.

1. ლექტორმა თქვა, რომ არსებობს მექანიკური, სითბური, ელექტრული, ქიმიური და სხვა სახის ენერგიები →

2. თუ ბურთულას ხელს გავუშვებთ, ეს პოტენციური ენერგია გარდაიქმნება კინეტიკურ ენერგიად და ბურთი დიდი სისწრაფით დაეშვება ძირს →

3. არსებობს სითბური ენერგია, რომელიც მიიღება შემის, ნახშირის, ნავთობპროდუქტების და სხვა საწვავის დაწვის პროცესში →

**1.20. დააწყვილეთ სიტყვები:**

მექანიკური	ძირს
რკინის	ენერგია
სითბური	ბურთულა
დაეშვება	ენერგია
ფიზიკური	მოვლენა

**1.21. გახაზეთ სწორი ფორმები:**

- მხატვარი ხატავს პორტრეტს – მხატვარი ხატავს პორტრეტს
- დედა აცხობს ხაჭაპური – დედა აცხობს ხაჭაპურს
- თამარმა დაწერა წერილი – თამარი დაწერა წერილი
- მე ვყიდულობ სახლს – მე ვყიდულობ სახლი
- ელნურმა გააკეთა რემონტი – ელნური გააკეთა რემონტი
- გევორქმა ააშენა სახლს – გევორქმა ააშენა სახლი
- ინჟინერი ურეკავს ელექტრიკოსს – ინჟინერი ურეკავს ელექტრიკოსს

**1.22. ჩასვით წინადადებებში სწორი ვერსია:**

**ჯეიმს ჯოულის პათივსაცემად კინეტიკური ჯოულებში იზომება**

- ელექტრული ენერგია ..... და მიიღება სპეციალური მოწყობილობების – გენერატორების– საშუალებით მექანიკური, სითბური, ქიმიური და სხვა სახის ენერჯის გარდაქმნით.
- ენერჯის ერთეულს სახელი დაერქვა ინგლისელი მეცნიერის .....
- ენერჯია არის ..... და პოტენციური.

**1.23. შეაერთეთ სინონიმები:**

ელექტრული ენერჯია	შესაძლო
პოტენციური	ელექტროენერჯია
ერთგვარი	მსგავსი

**1.24. შეაერთეთ ანტონიმები:**

უსიხარულო	უალტერნატივო
გაგონილი	შეუძლებელი
ენერჯიული	გაუგონარი
ალტერნატიული	უენერჯიო
შესაძლო	სიხარულიანი

**ენერჯის მუდმივობის კანონი**

**2.1. ამოიწერეთ საკითხავი ტექსტიდან უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონებში:**

.....  
.....  
.....  
.....  
.....

**2.2. ახალი სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები:**

.....  
.....  
.....  
.....  
.....

**2.3. მონიშნეთ შეკითხვის სწორი ვარიანტი:**

**I.** ენერჯის მუდმივობის კანონი გვასწავლის, რომ იზოლირებულ სისტემაში არსებული სრული ენერჯია მუდმივია და შეუძლებელია ის არსაიდან შეიქმნას ან არსად გაქრეს. ჩაკეტილ სისტემაში ენერჯიას შეუძლია მხოლოდ ცვალოს თავისი ფორმები.

- ა) ჩაკეტილ სისტემაში როგორ იცვლის ენერჯია ფორმას?
- ბ) რა არის ენერჯია?
- გ) რას გვასწავლის ენერჯის მუდმივობის კანონი?

**II.** თერმოდინამიკის პირველი კანონის თანახმად, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისას სისტემის შინაგანი ენერჯიის ცვლილება ტოლია გარე ძალების მუშაობისა და სისტემაზე გადაცემული სითბოს რაოდენობის ჯამისა.

- ა) როგორ იცვლება სისტემის შინაგანი ენერჯია?
- ბ) რისი ტოლია სისტემის შინაგანი ენერჯიის ცვლილება?
- გ) როგორ აღიწერება თერმოდინამიკის პირველი კანონი?

**III.** XVIII-XIX საუკუნეებში ჩატარებული მრავალრიცხოვანი ცდითა და ამ ცდების შედეგების გაანალიზებით დადგინდა ფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი კანონი – ენერჯის მუდმივობისა და გარდაქმნის კანონი.

- ა) რომელია ფიზიკის ერთ-ერთი ძირითადი კანონი?
- ბ) ენერჯია მუდმივია თუ არა?
- გ) როდის დადგინდა ენერჯის მუდმივობისა და გარდაქმნის კანონი?

**2.4. დააკავშირეთ ერთმანეთს ფრაზა და განმარტება:**

ტერმინი / ცნება	განმარტება
ხახუნი	განმხოლოებული, რის იზოლირებაც ხდება.
თერმოდინამიკა	გამოსხივების უნარის, თვისების მქონე.
მუდმივობა	მუდმივის თვისება, მუდმივად ყოფნა – უცვლელობა.
შინაგანი ენერჯია	ფიზიკის დარგი, რომელიც შეისწავლის სითბოს გარდაქმნას სხვა სახის ენერჯიად.
გამოსხივება	საგნის მოძრაობა მასზე მჭიდროდ მიდებულ სხვა საგნის ზედაპირზე.
იზოლირებული	ენერჯია, რომელიც სხეულშია მოქცეული.

**2.5. რომელი სიტყვით შეიძლება წინადადებაში ხაზგასმული სიტყვის შეცვლა? – მონიშნეთ სწორი ვერსია):**

1. იზოლირებულ სისტემაში არსებული სრული ენერჯია მუდმივია
  - ა. ჩაკეტილი
  - ბ. ღია
  - გ. დიდი
2. ეს კანონი გამოისახება მექანიკური მუდმივობაში.
  - ა. ცვლილებაში
  - ბ. მარადიულობაში
  - გ. ხანგრძლივობაში
3. ხახუნის ძალა კინეტიკურ ენერჯიას სითბოდ (გამოსხივების ენერჯიად) აქცევს.
  - ა. შეხებით მიღებული ძალა
  - ბ. მყარი სხეულების ურთიერთქმედების შედეგად მიღებული ძალა
  - გ. მოძრაობით მიღებული ძალა

**2.6. დასვით ნიშანი + სწორ წინადადებასთან და - ნიშანი - არასწორთან:**

წინადადება	+/-
ჩაკეტილ სისტემაში ენერჯიას არ შეუძლია ცვალოს თავისი ფორმები.	
ხახუნის ძალა კინეტიკურ ენერჯიას სითბოდ (გამოსხივების ენერჯიად) აქცევს	
სისტემის შინაგანი ენერჯიის ცვლილება არ არის ტოლი გარე ძალების მუშაობისა და სისტემაზე გადაცემული სითბოს რაოდენობის ჯამისა.	
არსებობს უნივერსალური კანონები.	
ჩაკეტილ სისტემაში ენერჯია არც ქრება და არც რაიმესგან წარმოიქმნება.	

**2.7. გამართეთ წინადადებები:**

1) რომ ბუნების კანონებს შორის თერმოდინამიკის მეორე კანონი გვასწავლის, არსებობს ისეთი კანონები, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ უნივერსალური.

.....  
.....

2) უნივერსალური კანონები სამართლიანია სამყაროში მიმდინარე განუჩევლად ნებისმიერი მოვლენისათვის, მათი ხასიათისა და სირთულისა.

.....  
.....

3) ერთი სახის ენერგია გარდაიქმნება მეორე სახის ენერგიად ან გადაეცემა ერთი სხეულიდან მეორეს, სიდიდე უცვლელი რჩება. თან ენერგიის საერთო

.....  
.....

**2.8. ჩასვით სათანადო ადგილას გამოთოვებული სიტყვა:**

*მასწავლებელი შვილიშვილს ნათესავისათვის ინჟინერს დირექტორმა მარიამისათვის*

ბებიამ ..... ნამცხვარი გამოუცხო.

მამას ..... საჩუქარი უყიდა.

თანამშრომელს ..... ელექტრონული წერილი გაუგზავნა.

..... მოსწავლეებს საშინაო დავალებას აძლევს.

ნათიას ..... კაბა უჩუქებია.

..... მუშებისათვის შენიშვნა მიუცია.

**2.9. გადაიყვანეთ დიალოგი (№14) მესამე პირში. გამოიყენეთ სხვათა სიტყვის ნაწილაკები:**

.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....  
.....

**2.10. ერთი ხაზი გაუსვით ფრაზებს, რომლებიც გამოხატავს დიალოგის მონაწილეთა მოწონებას. ორი ხაზი გაუსვით ფრაზებს, რომლებიც გამოხატავს დაქვეებას. სამი ხაზი გაუსვით ფრაზებს, რომლებიც გამოხატავს გადაწყვეტილებას:**

- ლადო, გამარჯობა, როგორ ხარ?
- კარგად, ნიკა, შენ?
- მეც კარგად... გცალია? გამოიარე ჩემთან, ერთად ვისწავლოთ გაკვეთილი – ენერჯის მუდმივობის კანონი, დავალებასაც ერთად დავწერთ...
- ნიკა, ახლა ნამდვილად არ მცალია, ცურვაზე უნდა წავიდე, სალამოს კი შეიძლება მოვიცალო, გამოვიარო 7 საათის შემდეგ?
- გამოიარე, არსად არ მივდივარ, სახლში ვიქნები.
- შევთანხმდით....
- სალამოს, ნიკასთან:
- ლადო, რა კარგია, რომ მოხვედი, ეს წუთია, გურამიშვილის პოემიდან ციტატას ვკითხულობდი: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობად თავისადაო, ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო?!“ – როგორ ფიქრობ, რას გულისხმობს პოეტი?
- ზუსტად არ ვიცი... ძალიან ძნელია პასუხის გაცემა... რაიმე კავშირი აქვს ამ ფრაზას ენერჯის მუდმივობის კანონთან?
- მგონი კი, მაგრამ ზუსტად მეც არ ვიცი, ხვალ ვკითხოთ მასწავლებელს...
- პოლ გოგენის ცნობილი ტილო გამახსენდა, რომელსაც, მგონი, ასე ჰქვია: „საიდან მოვდივართ, ვინ ვართ და სად მივდივართ?“ – გინახავს?
- არ მახსოვს...
- ახლავე მოვძებნით ინტერნეტში... აი, ისიც....

\* \* \*

- რა საინტერესო ნამუშევარია, მოდი, ხვალ ამ ნახატზეც ვისაუბროთ მასწავლებელთან ერთად – აქვს თუ არა კავშირი ამ ნახატს ენერჯის მუდმივობის კანონთან....
- კარგი იდეაა, ჩვენი კლასელების აზრსაც მოვისმენთ!
- ახლა ჩავუსხდეთ წიგნებს, არცთუ ცოტა გვაქვს სამეცადინო!
- ერთი შეკითხვაც მაქვს.... თუ იცი, საქართველოში ყველაზე ძლიერი ჰესი რომელია და რამდენ ჯოულ ენერჯიას გამოიმუშავებს?
- კი, ვიცი... ენგურჰესის კაშხალი, რომლის სიმაღლე 271.5 მეტრია, ერთი კუბური მეტრი წყლის მიხედვით 2700000 ჯოულის ენერჯიას გამოიმუშავებს...
- რა საინტერესოა, მაგრამ დროა შეკითხვების დასმას თავი მივანებო და ვიმეცადინო ხვალისთვის!

**2.11. მოსმენილი ტექსტი დაალაგეთ თანმიმდევრობით:**

- ლადო, რა კარგია, რომ მოხვედი, ეს წუთია, გურამიშვილის პოემიდან ციტატას ვკითხულობდი: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობად თავისადაო, ვინ არის, სიდან მოსულა, სად არის, წავა სადაო?!“ – როგორ ფიქრობ, რას გულისხმობს პოეტი?

**ელებორია**

- ბუსტად არ ვიცი... ძალიან ძნელია პასუხის გაცემა... რაიმე კავშირი აქვს ამ ფრაზას ენერჯის მუდმივობის კანონთან?
- მგონი, კი, მაგრამ ბუსტად მეც არ ვიცი, ხვალ ვკითხვით მასწავლებელს...
- პოლ გოგენის ცნობილი ტილო გამახსენდა, რომელსაც მგონი ასე ჰქვია: „საიდან მოვდივართ, ვინ ვართ და სად მივდივართ?“ – გინახავს?
- არ მახსოვს...
- ახლავე მოძებნით ინტერნეტში... აი, ისიც....
- ლაღო, გამარჯობა, როგორ ხარ?
- კარგად, ნიკა, შენ?
- მეც კარგად... გცალია? გამოიარე ჩემთან, ერთად ვისწავლოთ გაკვეთილი – ენერჯის მუდმივობის კანონი, დავალებასაც ერთად დავწერთ...
- ნიკა, ახლა ნამდვილად არ მცალია, ცურვაზე უნდა წავიდე, საღამოს კი შეიძლება მოვიცალო, გამოვიარო 7 საათის შემდეგ?
- გამოიარე, არსად არ მივდივარ, სახლში ვიქნები.
- შევთანხმდით....
- რა საინტერესო ნამუშევარია, მოდი, ხვალ ამ ნახატზეც ვისაუბროთ მასწავლებელთან ერთად – აქვს თუ არა კავშირი ამ ნახატს ენერჯის მუდმივობის კანონთან....
- კარგი იდეაა, ჩვენი კლასელების აზრსაც მოვისმენთ!
- ახლა ჩავუსხდეთ წიგნებს, არცთუ ცოტა გვაქვს სამეცადინო!
- ერთი შეკითხვაც მაქვს.... თუ იცი, საქართველოში ყველაზე ძლიერი ჰესი რომელია და რამდენ ჯოულ ენერჯიას გამოიმუშავებს?
- კი, ვიცი... ენგურჰესის კაშხალი, რომლის სიმაღლე 271.5 მეტრია, ერთი კუბური მეტრი წყლის მიხედვით 2700000 ჯოულის ენერჯიას გამოიმუშავებს...
- რა საინტერესოა, მაგრამ დროა შეკითხვების დასმას თავი მივანებო და ვიმეცადინო ხვალისთვის!

**2.12. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი:**

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

**2.13. დააკავშირეთ სიტყვები განმარტებებთან:**

კაშხალი	იგივეა, რაც ბავშვი
კუბური მეტრი	სიტყვასიტყვითი ამონაწერი სხვა ტექსტიდან
ყმაწვილი	მოცულობის ერთეული
ციტატა	რის ცნობაც შეიძლება
საცნობი	ნაგებობა (ქვისა, ბეტონისა, მიწისა...), რომელიც გზას უღობავს წყლის მიმდინარეობას და ამადლებს მდინარეში წყლის დონეს ან აგროვებს წყლის დიდ მარაგს

**2.14. გადახაზეთ ზედმეტი სიტყვა/ სიტყვები:**

ა) ციტატა	ტექსტი	ფრაზა
ბ) ყმაწვილი	მოხუცი	ბავშვი
გ) კაშხალი	ჰესი	ჩანჩქერი

**2.15. გადაანაწილეთ ცხრილში ზმნები:**

გაქრობა ქცევა გადაცემა გამოსახვა აქრობს აქრობდა გააქრობს აქრობდა  
 გაუქრია გააქრო აქცევდა გადააქცია გადააქციოს გადაუქცევია გადააქცევს  
 გადასცემდა გადასცა გადასცემს გადაუცია გამოუსახავს გამოსახოს გამოსახავდა გამოსახა

რას შვრება?	
რას შვრებოდა?	
რას შვრებოდეს?	
რას იზამს?	
რა ქნა?	
რა ქნას?	
რა უქნია?	
რა?	

**2.16. ჩასვით ზმნები შესაბამის ადგილას:**

დგას სცივათ ვდგავართ წევს იმალება გვიძინავს  
 სძინავს სცივა იმალები ეშინია გეშინია მცივა



**ელაქტრობა**

ჩვენი სახლი ტყის პირას .....

ბიჭი ჰამაკში .....

მე და დედაჩემი კაშხლის წინ .....

რატომ ..... ნინო?

ჩვენ ჯერ არ .....

გარეთ ცივა, მაგრამ მე არ .....

ბავშვი თამაშობს და მაგიდის ქვეშ .....

აშოტს ჭექა-ქუხილის .....

ახლა გვიანაა და ყველას .....

ვის .....

ჩიტებს უკვე .....

ნუ ..... ყველაფერი კარგად იქნება.

**2.17. დაასრულეთ სიტყვები:**

შეხედე, რკინის ბურთულ..... იატაკზე გორავს.

დავით ..... 20 წელი იმეფა.

ბაფხულში პატარა ნინო ..... მინდორში იგორავა.

მეფე ..... 25 წელი უმეფია.

დილას ელმირა ..... იატაკზე უგორავია.

ბამთარში ვი ..... არ უგორავია თოვლში?

აჰმედ ..... მინდორში იგორავა.

**2.18. დააკავშირე სიტყვები/ფრაზები:**

შინაგანი	სისტემა
სითბური	რაოდენობის ჯამი
სითბოს	ენერგია
ენერგიის	გარდაქმნის კანონი
იზოლირებული	საერთო სიდიდე
ენერგიის	პროცესი

**2.19. სწორად ჩასვით სიტყვები:****შინაგანი ენერჯის საერთო სიდიდე უნივერსალური**

თერმოდინამიკის მეორე კანონი გვასწავლის, რომ ბუნების კანონებს შორის არსებობს ისეთი კანონები, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ .....

თერმოდინამიკის პირველი კანონის თანახმად, ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლისას, სისტემის ....  
 ..... ცვლილება ტოლია გარე ძალების მუშაობისა და სისტემაზე გადაცემული სითბოს რაოდენობის ჯამისა.

ჩაკეტილ სისტემაში ენერჯია არც ქრება და არც რაიმესგან წარმოიქმნება. ერთი სახის ენერჯია გარდაიქმნება მეორე სახის ენერჯიად ან გადაეცემა ერთი სხეულიდან მეორეს, ამასთან, ენერჯიის .....  
 ..... უცვლელი რჩება.

**2.20. შეაერთეთ სინონიმები:**

იზოლირებული	უცვლელობა
ყმაწვილი	ჩაკეტილი
მუდმივობა	ბავშვი

**2.21. შეაერთეთ ანტონიმები:**

მოცლილი	ყმაწვილი
გულისხმიერი	არაიზოლირებული
იზოლირებული	მოუცლელი
ძლიერი	უძლური
მოხუცი	უგულისყურო

რას შეისწავლის ენერგეტიკა?

3.1. მოიძიეთ ლექსიკონში და დაწერეთ მოსმენილი ტექსტიდან (№14) უცნობი სიტყვების / ფრაზების განმარტებები:

..... - .....

..... - .....

..... - .....

..... - .....

..... - .....

3.2. შეადგინეთ წინადადებები სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებით (3.1):

.....

.....

3.3. შემოხაზეთ შეკითხვის სწორი ვარიანტი:

- I. ენერგეტიკა არის მეცნიერებისა დარგი, რომელიც შეისწავლის ყველა სახის ენერგეტიკული რესურსის მოპოვებას, გადამუშავებას, ტრანსპორტირებას, ასევე – სითბური და ელექტრული ენერჯის გადაცემისა და განაწილების კანონზომიერებს.
  - ა) რა არის მეცნიერების დარგი?
  - ბ) რას შეისწავლის მეცნიერება?
  - გ) რას სწავლობს და იკვლევს მეცნიერების დარგი – ენერგეტიკა?
- II. ენერგეტიკის მთავარი ამოცანა მაინც პირველადი ბუნებრივი ენერჯის (წყლის ძალა, ნავთობის თუ გაზის წვის ძალა და სხვა) მეორეულ, მაგალითად, ელექტრულ ენერჯიად გარდაქმნა და მომხმარებელთან მიტანაა.
  - ა) ვინ არის ენერგეტიკოსი?
  - ბ) რა არის ენერგეტიკის მთავარი ამოცანა?
  - გ) რა არის პირველადი ბუნებრივი ენერჯია?
- III. ზოგიერთი ენერგეტიკული რესურსის მოპოვება დიდ ზიანს აყენებს ბუნებას... ნავთობისა და ქვანახშირის მოპოვების გამო იჩეხება ტყეები, ბინძურდება გარემო... დიდი ჰესების მშენებლობის მიზეზით, წყალში იძირება სოფლები, მიწები, იცვლება კლიმატი...
  - ა) ენერგეტიკული რესურსის მოპოვება უქმნის თუ არა პრობლემას მოსახლეობას?

- ბ) ბინძურდება თუ არა გარემო ენერგეტიკული რესურსის მოპოვებისას?
- გ) რა ტიპის ზიანი შეიძლება მიყენოს ადამიანმა ბუნებას ზოგიერთი ენერგეტიკული რესურსის მოპოვებისას?

**3.4. დააკავშირეთ ერთმანეთთან ფრაზა და განმარტება:**

ტერმინი / ცნება	განმარტება
ენერგეტიკა	პირველად არსებული, საწყისი, თავდაპირველი.
ენერგეტიკული	ტექნიკის დარგი, რომელიც სხვადასხვა ენერჯის წარმოებას, გარდაქმნას, გადაცემასა და მოხმარებას იკვლევს.
კლიმატი	ორგანიზაცია ან ცალკე პირი, რომელიც მოხმარების, გამოყენების მიზნით იძენს რაიმე ნაწარმს; მყიდველი. 2. ვინც ხმარობს, იყენებს რასმე; ვისაც შეუძლია მოიხმაროს რამე.
გარემოსდაცვითი	ამა თუ იმ ადგილისათვის ჩვეულებრივი მეტეოროლოგიური პირობების ერთობლიობა
პირველადი	ენერგეტიკასთან დაკავშირებული, ენერგეტიკისათვის განკუთვნილი.
მომხმარებელი	გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ქმედებები.

**3.5. დასვით ნიშანი + სწორ წინადადებასთან და - ნიშანი - არასწორთან:**

წინადადება	+/-
ენერგეტიკა არის მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ყველა სახის ენერგეტიკული რესურსის მოპოვებას, გადამუშავებას, ტრანსპორტირებას, ასევე - სითბური და ელექტრული ენერჯის გადაცემისა და განაწილების კანონზომიერებს.	
ენერგეტიკა არის მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ენერგეტიკული რესურსის მოპოვებას, გადამუშავებასა და ტრანსპორტირებას.	
ენერგეტიკული რესურსის მოპოვება ზიანს არ აყენებს ბუნებას.	
ენერგეტიკოსთა ამოცანაა ენერგორესურსების მოპოვებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტა.	
ენერგეტიკა არ არის ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების საფუძველი.	

**3.6. გამართეთ წინადადებები:**

1. ამოცანა ამიტომ ენერგეტიკოსთა ენერგორესურსების მოპოვებასთან გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტა დაკავშირებული.

.....  
.....

2. მშენებლობის დიდი ჰესების მიზებით, წყალში იძირება სოფლები, მიწები, იცვლება კლიმატი... ხშირად, დიდ ზარალს ნახულობს მოსახლეობა ადგილობრივი ...

.....  
.....

3. მას სხვანაირად მეურნეობის სახალხო ხერხემალსაც უწოდებენ. ენერგეტიკა ეკონომიკის არის სხვა დარგების განვითარების საფუძველი.

.....  
.....

**3.7. სწორად ჩასვით მრავლობითის ნიშნები:**

**ნიმუში:** (ქალი) ქალთა უფლებები

- (ენერგეტიკოსი) ..... საზოგადოება.
- (ბავშვი) ..... ექიმი.
- (მეცნიერი)..... განცხადება.
- (პრეზიდენტი) ..... შეხვედრა.
- (მინისტრი) ..... კაბინეტი.

**3.8. გახაზეთ სწორი ფორმები:**

- ლეილა მეგობარს ემალება – ლეილამ მეგობარს ემალება.
- ნინო ფიზიკა უყვარს – ნინოს ფიზიკა უყვარს.
- მარიამს ჭექა-ქუხილი არ უყვარს – მარიამი ჭექა-ქუხილი არ უყვარს.
- ინჟინერი ელექტრიკოსს ელაპარაკება – ინჟინერი ელექტრიკოსი ელაპარაკება.
- დედა შვილი ეთამაშება – დედა შვილს ეთამაშება.
- სტუდენტმა მასწავლებელი ელაპარაკება – სტუდენტი მასწავლებელს ელაპარაკება.
- დავითს მწერები სძულს – დავითი მწერებს სძულს.
- გიორგის მეგობარი შინ მოჰყავს – გიორგის მეგობარს შინ მოჰყავს.
- ბებია შვილიშვილს ელაპარაკება – ბებია შვილიშვილს ელაპარაკება.
- ნიკას ცოლი მოჰყავს – ნიკას ცოლს მოჰყავს.



**3.11. დააკავშირეთ სიტყვები განმარტებებთან:**

მილსადენი	საქონლის, ტვირთის ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა, გადაზიდვა.
არასტაბილურობა	რაღაცის გაფუჭება, დანგრევა, მოსპობა.
განადგურება	მიღებისაგან შედგენილი ნაგებობა აირების, თხევად ან ფხვიერ ნივთიერებათა ამა თუ იმ მანძილზე გადასაცემად.
ზემოქმედება	არასტაბილურის თვისება, – რყევადობა, ცვალებადობა
ტრანსპორტირება	ისეთი მოქმედება, რომელიც გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს ვინმეზე და ამით მას სათანადო ქცევისათვის აღძრავს, – ზეგავლენა.

**3.12. გადახაზეთ ზედმეტი სიტყვა/ სიტყვები:**

- |                   |            |             |
|-------------------|------------|-------------|
| ა) მილსადენი      | წყალსადენი | დენი        |
| ბ) ზემოქმედება    | გავლენა    | უკუქმედება  |
| გ) არასტაბილურობა | სიმყარე    | ცვალებადობა |
| დ) ტრანსპორტირება | გადაზიდვა  | ჩუქება      |

**3.13. გადაანაწილეთ ცხრილში ზმნები:**

*(მო)იპოვებს მოიპოვებდა მოიპოვა მოიპოვებს მოიპოვოს მოუპოვებია  
 იპოვებ მოპოვება განადგურება ანადგურებს ანადგურებდა  
 გაუნადგურებია გაანადგუროს გაუარესება აუარესებს აუარესებდა  
 გააუარესებს გაუუარესებია გაუარესდება.*

რას შვრება	
რას შვრებოდა	
რა ქნა?	
რას იზამს?	
რა ქნას?	
რა უქნია?	
რა?	

**3.14. მოცემული მოდელის მიხედვით შექმენით უარყოფითი შინაარსის მქონე წინადადებები:**

**ნიმუში:** *ორ სისტემას შორის ენერჯის ყოველი გადაცემისას გარკვეული ენერჯია ყოველთვის იკარგება გარემოში* → ჩემს მეგობრის მამა ელექტრიკოსია – ჩემი მეგობრის მამა ელექტრიკოსია.

1. ენერჯია ერთი ადგილიდან მეორეში ტრანსპორტირდება →

.....

2. ენერგეტიკული არჩევანი სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე →

.....

3. ადამიანების მიერ გაკეთებულ ენერგოარჩევანს მოჰყვება შესაბამისი გარემოს დაცვითი ქმედებები →

.....

**3.15. გასაზრეთ სწორი ფორმები:**

- ჩემს მეგობრის მამა ელექტრიკოსია – ჩემი მეგობრის მამა ელექტრიკოსია.
- ჩვენი სამშობლო საქართველოა – ჩვენმა სამშობლო საქართველოა.
- თქვენი პროექტი საინტერესო იყო – თქვენმა პროექტმა საინტერესო იყო.
- შენი აზრი მაინტერესებს – შენს აზრი მაინტერესებს.
- ჩემმა პროფესია ძალიან საინტერესოა – ჩემი პროფესია ძალიან საინტერესოა.
- მათი გუნდმა გაიმარჯვა – მათმა გუნდმა გაიმარჯვა.
- მისი ოფისი პირველ სართულზეა – მის ოფისი პირველ სართულზეა.
- ჩვენ პროექტმა მიიღო პრიზი – ჩვენმა პროექტმა მიიღო პრიზი.

**3.16. დააწვილეთ სიტყვები /ფრაზები და ზმნები:**

დავითი გარემოს დაბინძურების შესახებ ინფორმაციას	გაანაწილებს
თელასს ელექტროენერჯის მიწოდება	გადასცა
გიორგიმ ეს საკითხი უნდა	გაუუარესებია
ნინო ყველა საკითხს კარგად	მოიპოვებს
ორგანიზაციამ ნათიას მოსაწვევი	გადაწვიტოს
ჩვენი მენეჯერი საჩუქრებს	ამუშავებს



**3.17. ჩამოაყალიბეთ წინადადებები:**

**ნიმუში:** ენერგია ერთი ადგილიდან მეორეში ტრანსპორტირდება →

არ შეიძლება ენერჯის ერთი ადგილიდან მეორეში ტრანსპორტირება.

1. დენის მიწოდება შეწყდება →

2. ერთი მდგომარეობიდან მეორე მდგომარეობაში გადადის →

3. ნავთობი გადააქვთ გემით →

**3.18. ჩასვით მოცემული სიტყვები და ფრაზები:**

**სახალხო მეურნეობის ხერხემალსაც დაკავშირებული იცვლება კლიმატი**

- დიდი ჰესების მშენებლობის მიზებით, წყალში იძირება სოფლები, მიწები, .....
- ენერგეტიკოსების ამოცანაა ენერგორესურსების მოპოვებასთან ..... გარემოსდაცვითი პრობლემების გადაწყვეტა.
- ენერგეტიკა არის ეკონომიკის სხვა დარგების განვითარების საფუძველი, მას სხვანაირად ..... უწოდებენ.

**3.19. შეაერთეთ სინონიმები:**

საფუძველი	გაჭუჭყიანება
დაბინძურება	შოვნა
მოპოვება	საყრდენი

**3.20. შეაერთეთ ანტონიმები:**

გადამუშავებული	მეორადი
პირველადი	არასანდო
გაჩეხილი	გადაუმუშავებელი
საფუძვლიანი	გაუჩეხავი
სანდო	უსაფუძვლო

თაზი VI

ელექტროსადგურები და ქვესადგურები

ნაწილი I

თბოელექტროსადგურები

1.1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონებში:

- ..... - .....
- ..... - .....
- ..... - .....
- ..... - .....
- ..... - .....
- ..... - .....
- ..... - .....
- ..... - .....

1.2. ახალი სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები (1.1.):

- .....
- .....
- .....
- .....
- .....
- .....
- .....
- .....
- .....

1.3. შეარჩიეთ შეკითხვის სწორი ვარიანტი:

- I. თბოელექტროსადგურში გამომუშავებულ ენერგიას მოიხმარენ სამრეწველო, სატრანსპორტო, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო და სხვა საწარმოები.
  - ა) რა არის თბოელექტროსადგური?

**ელექტრობა**

- ბ) სად მდებარეობს თბოელექტროსადგური?
- გ) ვინ არიან თბოელექტროსადგურში გამომუშავებული ენერჯის მომხმარებლები?

**II. არაგანახლებადი რესურსების რაოდენობა შეზღუდულია.**

- ა) რატომ არის შეზღუდული არაგანახლებადი რესურსების რაოდენობა?
- ბ) როგორი რესურსების რაოდენობაა შეზღუდული?
- გ) სად არის შეზღუდული არაგანახლებადი რესურსების რაოდენობა?

**III. სათბობის წვის პროცესი იწვევს გარემოს დაბინძურებას.**

- ა) როგორი გარემოა დაბინძურებული?
- ბ) სად ბინძურდება გარემო?
- გ) რა იწვევს გარემოს დაბინძურებას?

**1.4. დააკავშირეთ სიტყვა/ფრაზა და განმარტება:**

<b>ტერმინი / ცნება</b>	<b>განმარტება</b>
ქიმიური ენერჯია	გრძელი მილი, რომელიც, ჩვეულებრივ, მიწის ქვეშაა მოთავსებული და გამოიყენება შორ მანძილზე ნავთობის ან გაზის გადასატანად.
მილსადენი	კომპანია, რომელიც აწარმოებს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს.
ენერჯიაშემცველი (ენერჯისმატარებელი)	ატმოსფეროში მომწამლავი ნივთიერების მაღალი რაოდენობა, რაც იწვევს დაავადებებს და აზიანებს ბუნებას.
სასოფლო-სამურნეო საწარმო	ქიმიური ნივთიერების პოტენციალი, რომ განიცადოს ცვლილება ან შეცვალოს სხვა ნივთიერებები.
ჰაერის დაბინძურება	ყველა ის ნივთიერება, რომლებიც შეიცავს ენერჯიას და/ან შეუძლია მისი გამოყოფა. მაგალითად, ნავთობი, გაზი, ქვანახშირი.

**1.5. დასვით + ნიშანი სწორ წინადადებასთან და - ნიშანი - არასწორთან:**

- თბოელექტროსადგურები არავითარ ზიანს არ აყენებს ბუნებას.
- თბოელექტროსადგურებში იყენებენ განახლებად რესურსებს.
- საქართველოში არ გვაქვს თბოელექტროსადგურები.
- თბოელექტროსადგურები იწვევს ეკოლოგიურ პრობლემებს.
- კონდენსატორში ორთქლი ცივდება.
- საქართველოში ზაფხულში თბოელექტროსადგურებს არ იყენებენ.

**1.6. რა არის გამოხატული ფრაზით:**

**ჩვენ აუცილებლად ავაშენებთ თბოელექტროსადგურს ამ რეგიონში!**

- ბრძანება
- მაღლიერება
- დაპირება

**ნუ გამოიყენებთ ქიმიურ ენერჯიას მრეწველობაში!**

- წყენა
- მოთხოვნა
- სიხარული

**ცუდია, რომ ტუმბო არ მუშაობს!**

- სიხარული
- მოთხოვნა
- წუხილი

**ამერიკა, კანადა და გერმანია განვითარებული ქვეყნებია?**

- ფაქტი
- ვარაუდი
- შეკითხვა

**როგორც მახსოვს, ქვანახშირის ყველაზე დიდი საბადო ამერიკაშია.**

- ფაქტი
- ვარაუდი
- შეკითხვა

**საქართველო მდიდარია მცენარეული საფარით.**

- შეკითხვა
- ფაქტი
- მოწონება

**1.7. გამართეთ წინადადებები:**

1. სითხედ ორთქლი გაცივებული გარდაიქმნება.

.....

2. აღდგენას მათ სჭირდება დიდი ძალიან დრო.

.....

3. ატმოსფეროში დიდ გაიტყორცნება ნარჩენები სიმაღლეებზე.

.....



**1.11. დასვით + ნიშანი სწორ წინადადებასთან და – ნიშანი – არასწორთან:**

თბოელექტროსადგურიდან ნახშირორჟანგითა და სხვადასხვა მავნე ნივთიერებით სავსე ალი ჰაერს ერევა და აბინძურებს გარემოს.	
ჰაერში დიდი რაოდენობით ნახშირორჟანგის კონცენტრაცია გლობალური დათბობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია.	
ელექტროსადგურების არსებობა საშიშია გარემოსთვის, ადამიანებისა და სხვა ცოცხალი თუ არაცოცხალი ორგანიზმებისათვის.	
სახელმწიფომ არ უნდა აკონტროლოს თბოელექტროსადგურები.	

**1.12. დააკავშირეთ სიტყვები განმარტებებთან:**

უნაყოფო მიწა	სხეული, რომელსაც ახასიათებს ნივთიერებათა ცვლა, გამრავლების უნარი, მოძრაობის უნარი, ზრდა და ა. შ.
გარემოს დაბინძურება	ზიანის მომტანი.
მავნე	მოუსავლიანი, მწირი ნიადაგი.
ცოცხალი ორგანიზმი	დაბინძურებული ნივთიერებების არსებობა ბუნებრივ გარემოში, რომლებიც ზიანს აყენებს ფიზიკურ სისტემებსა და ცოცხალ ორგანიზმებს.

**1.13. დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი:**

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

1.14. გადახაზეთ „ზედმეტი“ სიტყვა:

- |               |       |        |             |
|---------------|-------|--------|-------------|
| ა) ქვანახშირი | ზეთი  | ტორფი  | შეშა        |
| ბ) ბენზინი    | ნავთი | მაზუთი | კოქსის გაზი |

1.15. შეავსეთ ცხრილი:

რას შვრება?	რას შვრებოდა	რა ქნა?	რას იზამს?	რა ქნას?	რა უქნია?	რა?
ვიწვი		დავიწვი		დავიწვა	დავმწვარვარ	
იმატებენ	იმატებდნენ		მოიმატებენ	მოიმატონ		

1.16. შექმენით წინადადებები:

**ნიმუში:** (ეკა; ინტერესი) *სად მოიპოვება ქვანახშირი → ეკას აინტერესებს, სად მოიპოვება ქვანახშირი.*

- (ნინო; ინტერესი) ....., ვინ იყო რადიონტერვიუს სტუმარი.
- (სტუმარი; ინტერესი)....., რატომ არის თბოელექტროსადგური მაგნე.
- (ჩვენ; ინტერესი) ....., სად არის თბოელექტროსადგური საქართველოში.
- (სტუდენტები; ინტერესი) ....., როდის იყენებენ თბოელექტროსადგურს.

1.17. დააწყვილეთ სიტყვები და ზმნები

- |                     |              |
|---------------------|--------------|
| შენც                | აგებენ       |
| რადიონტერვიუში      | იყენებენ     |
| ელექტროენერჯია      | იქნება       |
| საწარმოები          | თქვეს        |
| თბოელექტროსადგურებს | გაინტერესებს |
| უკეთესი             | მიეწოდება    |

**1.18. შეაერთეთ სინონიმები:**

მიმდებარე	შესაძლებლობა
საშუალება	უბედური შემთხვევა
დაბინძურება	ახლომახლო
კატასტროფა	თავმოყრა
კონცენტრაცია	უმოსავლო
უნაყოფო	აფუჭებს
აზიანებს	გაჭუჭყიანება

**1.19. შეაერთეთ ანტონიმები:**

საშიში	ნაკლებად
უნაყოფო	აცივება
მეტად	უსაფრთხო
დათბობა	ნაყოფიერი



ატომბირთვული ელექტროსადგურები

2.1. ამოიწერეთ ტექსტიდან უცნობი სიტყვები და მოიძიეთ მათი განმარტებები ლექსიკონებში:

..... - .....

..... - .....

..... - .....

..... - .....

..... - .....

..... - .....

..... - .....

..... - .....

..... - .....

2.2. ახალი სიტყვების გამოყენებით შეადგინეთ წინადადებები (2.1.):

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

2.3. შემოხაზეთ სწორი შეკითხვა:

- I. საფრანგეთში თერმობირთვული რეაქტორის მშენებლობაში მონაწილეობენ აშშ, ევროკავშირი, რუსეთი და იაპონია.
  - ა) რომელი ქვეყნები არ მონაწილეობენ თერმობირთვული რეაქტორის მშენებლობაში?
  - ბ) რა არის თერმობირთვული რეაქტორი?
  - გ) სად შენდება თერმობირთვული რეაქტორი და რომელი ქვეყნების მონაწილეობით?

- II. ატომური ელექტროსადგურის ძირითადი კომპონენტებია: ბირთვული რეაქტორი, ორთქლგენერატორი, ორთქლის ტურბინა, კონდენსატორი და ელექტროგენერატორი.
- ა) რა არის ატომური ელექტროსადგური?
  - ბ) რომელი ძირითადი კომპონენტებისაგან შედგება ატომური ელექტროსადგური?
  - გ) რა არის ორთქლის ტურბინის ფუნქცია?
- III. ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ შევდეთმა, იტალიამ, ბრაზილიამ და მექსიკამ საერთოდ აკრძალეს ატომური ელექტროსადგურების მშენებლობა.
- ა) რა არის ჩერნობილის კატასტროფა?
  - ბ) რა შედეგები მოჰყვა ჩერნობილის კატასტროფას?
  - გ) რა აკრძალა ზოგიერთმა ქვეყანამ ჩერნობილის კატასტროფის შემდეგ?

**2.4. დააკავშირეთ სიტყვა/ფრაზა და განმარტება:**

<b>ტერმინი / ცნება</b>	<b>განმარტება</b>
ატომური რეაქტორი	სპეციალურად მოწყობილი ადგილი იარაღის, საბრძოლო ტექნიკის, სამხედრო მასალის, სხვა მოწყობილობების გამოსაცდელად, აგრეთვე ჯარის ნაწილების სავარჯიშოდ.
კომპონენტი	მოწყობილობა, რომელშიც ხორციელდება ბირთვული ჯაჭვური რეაქცია და გამოიყოფა ენერჯია.
პოლიგონი	სახელმწიფო, რომელსაც უდიდესი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სამხედრო პოტენციალი აქვს და გავლენას ახდენს სხვა ქვეყნებზე.
გესახელმწიფო	დედამიწის ის ზონა, რომელშიც სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობებია და ცოცხალი ორგანიზმები ცხოვრობენ.
ბიოსფერო	რისამე შემადგენელი ნაწილი.

**2.5. დასვით + ნიშანი სწორ წინადადებასთან და - ნიშანი - არასწორთან:**

- ატომური ელექტროსადგურები არ არის უსაფრთხო.
- მომავალში ატომური ენერჯიის გამოყენება აღარ იქნება საჭირო.
- საქართველოში არ აშენებენ ატომურ ელექტროსადგურს.
- ბირთვული იარაღი გარემოს ეკოლოგიური დაბინძურების ძლიერი წყაროა.
- მსოფლიოში ოფიციალურად ცნობილი ოთხი ბირთვული პოლიგონი გესახელმწიფოებს ეკუთვნის.

**2.6. გამართეთ წინადადებები:**

1. მსოფლიოში თითქმის მოქმედ ყველა გამოიყენება სადგურში რეაქტორები სითბურ ნეიტრონებზე.

2. ელექტრული მსოფლიოში ენერჯის 15% ატომურ იწარმოება რეაქტორებში.

3. ქვეყანაშია აეს-ები მსოფლიოს ექვს სულ წამყვან.

**2.7. დალაგეთ მოსმენილი ტექსტის (№17) მიხედვით:**

- სადგურის უსაფრთხოდ გამოცხადების შესაძლებლობა.
- დაგვიანებული ევაკუაცია.
- ავარია ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში.
- ზუსტი ინფორმაციის არარსებობა ჩერნობილის ტრაგედიაზე.
- 25 000 დაღუპული და 75 000 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი.
- ჩერნობილში უკან დაბრუნებული მოსახლეობა.
- ტერიტორიები, რომლებიც გადაიარა რადიოაქტიურმა ღრუბელმა.

**2.8. სწორად დალაგებული გეგმის მიხედვით (2.7.) დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი:**

**2.9. დააკავშირეთ სიტყვები განმარტებებთან:**

ავარია	სითხეში შერეული გაუხსნელი ნივთიერება, რომელიც გროვდება დედამიწაზე, ჭურჭლის, მდინარის, ტბის, ზღვის ფსკერზე. თოვლი, წვიმა.
ნალექი	ენერგია, რომელიც სივრცეში მოძრაობს ტალღის ან ნაწილაკის სახით.
რადიაცია	რაიმე მანქანის ან მოწყობილობის, მექანიზმის დაზიანება; სატრანსპორტო კატასტროფა.
შებლუდული შესაძლებლობების მქონე პირი	ადამიანი, რომელსაც არ აქვს უნარი მთლიანად ან ნაწილობრივ უზრუნველყოს თავისი თავი ჩვეულებრივი (ნორმალური) ადამიანური ან სოციალური ცხოვრების საჭიროებებით, გონებრივი ან ფიზიკური შესაძლებლობების თანდაყოლილი ან შეძენილი დეფექტის გამო.

**2.10. დასვით + ნიშანი სწორ წინადადებასთან და - ნიშანი - არასწორთან:**

- ჩერნობილის ავარიის შედეგად დაბინძურდა ვრცელი ტერიტორია.
- ჩერნობილის ავარიის შესახებ საბჭოთა მთავრობა სიმართლეს არ ამბობდა.
- ჩერნობილის კატასტროფის შედეგად დაზარალებულ რეგიონებში დღემდე ცხოვრობს მოსახლეობა.
- ევაკუაციის შემდეგ სახლებში ახალგაზრდები დაბრუნდნენ.

**2.11. ჩასვით წინადადებებში შესაბამისი სიტყვა:**

**ეკოლოგიურად თავდაპირველი ენერგეტიკის ოფიციალურად**

1. აესი ..... გაცილებით სუფთაა თეს-თან შედარებით.
2. მსოფლიოში ..... ცნობილია ოთხი ბირთვული პოლიგონი.
3. ის შეფასებულია, როგორც უდიდესი ავარია ატომური ..... ისტორიაში.
4. .... ევაკუაციის დროს დაახლოებით 100 ათასი ადამიანი გაიყვანეს ტერიტორიიდან.

**2.12. გადაანაწილეთ ცხრილში ზმნები:**

**ვმალავდი ავიმოძრავებია ვამოძრავებ არსებობა ვიარსებო არსებობდი იარსებოთ ვიარსებია მიხვდნენ ხორციელდებოდა მივხვდით ამოძრავება მივხვდი მივმხვდარვარ დამალვა დაგიმალავს გაიფანტები ვიფანტები გაფანტვა დავმალე იწვევდი გამოუწვევია ინგრეოდა გამოგიწვევია დანგრევა**

რას შვრება?	
რას შვრებოდა?	

რა ქნა?	
რას იზამს?	
რა ქნას?	
რა უქნია?	
რა?	

**2.13. შექმენით წინადადებები:**

**ნიმუში:** მე გეტყვი და შენ მომისმინე → მე გეტყვი, შენ კი მომისმინე.

1. ჩერნობილი აფეთქდა და საბჭოთა კავშირის მთავრობა ინფორმაციას მალავდა →

.....  
 .....

2. თერმობირთვული იარაღი გამოსცადეს და ბიოსფეროში მოხვდა დაახლოებით 5 ტონა პლუტონიუმი 239

→ .....

3. რეაქტორი მთლიანად დაინგრა და მოსახლეობა დაზარალდა →

.....

4. რადიოაქტიურმა ღრუბელმა გადაიარა ბევრი ქვეყანა და რადიოაქტიური ნალექის 60% დაილექა ბელორუსიის ტერიტორიაზე →

.....  
 .....

5. დღემდე რამდენიმე რეგიონი რადიოაქტიურად დაბინძურებულად ითვლება და იმ ტერიტორიაზე ხუთ მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს →

.....  
 .....

6. თავიდან 100 000 ადამიანი გაიყვანეს ტერიტორიიდან და საერთო ჯამში – 200 000. →

.....

**2.14. შექმენით წინადადებები:**

**ნიმუში:** რადიაცია ჰაერში გაიფანტა და ხალხი დაზარალდა → რადიაცია ჰაერში გაიფანტა, რის გამოც ხალხი დაზარალდა.

1. ჩერნობილში მოხდა კატასტროფა და ზოგიერთმა ქვეყანამ აკრძალა ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა →

.....  
 .....

2. პოლიგონებზე გამოსცადეს ბირთვული იარაღი და ბიოსფერო დაზინძურდა →

.....  
 .....

3. აფეთქებამ რადიაციული დასხივება გამოიწვია და ბევრი ადამიანი დაავადდა →

.....  
 .....

4. საბჭოთა კავშირი მალავდა ფაქტებს და ბევრი რამ დღესაც არ ვიცით →

.....  
 .....

**2.15. ჩასვით წინადადებაში ზმნა შესაბამისი ფორმით:**

- საქართველოში პირველი კაშხალი მეოცე საუკუნეში ..... (აშენება).
- მშენებლობაზე ქართველებთან ერთად ..... (მუშაობა) სომეხი და
- აზერბაიჯანელი მუშები.
- უნდათ, რომ მშენებლობა მალე ..... (დამთავრება).
- მშენებლებმა უნდა ..... (შესრულება) ძალიან სახიფათო სამუშაოები.
- ორი წლის წინ მუშების რაოდენობა ..... (აღრიცხვა) და მასალები არქივში ..... (შენახვა).

**2.16. ჩასვით ზმნის სწორი ფორმა:**

- ხელოსანი კლიენტს ტელევიზორს .....  
 ა) შეუკეთა                      ბ) შეუკეთებია                      გ) უკეთებს
- ფოტოგრაფს გუშინ ტურისტებისთვის ფოტო .....  
 ა) გადაუღო                      ბ) უღებს                      გ) გადაუღია
- პაპამ ნიკოლოზს ჩაი .....  
 ა) დაუსხამს                      ბ) დაუსხა                      გ) უსხამს
- ბიჭები ძაღლს სახლს .....  
 ა) აუშენეს                      ბ) აუშენებიათ                      გ) უშენებენ
- მე დედაჩემს სადილი .....  
 ა) ვუმზადებ                      ბ) მოვუმზადე                      გ) მომიმზადებია

**ქლიქტრობა**

- თურქე გოგოებისთვის დედას და მამას ლამაზი კაბები .....  
ა) უყიდეს                    ბ) ყიდულობენ                    გ) უყიდათ

**2.17. დააწყვილეთ სიტყვები /ფრაზები და ზმნები:**

შეუძლებელი	გამოიწვია
გესახელმწიფოებს	წარმოდგენილია
ამან	დაილექა
ნახაზზე	გადარჩა
ნალექი	იქნება
უმრავლესობა	ეკუთვნის

**2.18. შეაერთეთ სინონიმები:**

ერთობლივი	ინტერნაციონალური
საერთაშორისო	ყოფნა, სიცოცხლე
განლაგებული	სრულიად; სავსებით
არსებობა	მოსპობა; მოშორება
აღმოფხვრა	განთავსებული
მთლიანად	გაერთიანებული; შეერთებული

**2.19. შეაერთეთ ანტონიმები:**

შესაძლებელი	ნებადართული
დაინგრა	შეერთება
აკრძალული	შეუძლებელი
დაშლა	აშენდა





**ელებორია**

II. დიდი წყალსაცავები იწვევს კლიმატის ცვლილებას ჰესის მიმდებარე ტერიტორიებზე.

- ა) რა არის კლიმატის ცვლილება?
- ბ) რა იწვევს კლიმატის ცვლილებას?
- გ) რა იწვევს და რომელ ტერიტორიებზე კლიმატის ცვლილებას?

III. საქართველოში მდინარე ენგურს ყველაზე დიდი პოტენციალი აქვს ჰესის ასაშენებლად.

- ა) რომელია ყველაზე დიდი პოტენციალის მქონე მდინარე საქართველოში?
- ბ) სად მიედინება მდინარე ენგური?
- გ) რომელ მდინარეს აქვს საქართველოში ჰესის ასაშენებლად ყველაზე დიდი პოტენციალი?

**3.4. დააკავშირეთ ერთმანეთთან ტერმინი და განმარტება:**

<b>ტერმინი / ცნება</b>	<b>განმარტება</b>
ნაყოფიერი მიწა	პიროვნება, რომლის ცხოვრება და საქმიანობა საზოგადოებისა და ქვეყნის ცხოვრების გაუმჯობესებას ემსახურება.
საზოგადო მოღვაწე	მოსავლიანი ნიადაგი.
პუბლიცისტი	პირი ან საწარმო, კომპანია, რომელიც ფულს დებს ეკონომიკურ საქმიანობაში.
ინვესტორი	მწერალი, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე წერს.

**3.5. გამართეთ წინადადებები:**

წყლის წყაროდ ჰიდროელექტროსადგური იყენებს ენერჯის ნაკადს.

.....

დიდი არის ჰესი სიმძლავრის საქართველოშიც.

.....

მსოფლიოს დღეს ქვეყანაში ბევრ მუშაობს ჰესები მძლავრი.

.....

**3.6. ჩასვით შესაბამისი ზმნები:**

**შეესრულებინათ შეუნახავთ აუშენებიათ  
აღურიცხავთ დაემთავრებინათ უმუშავიათ**

- საქართველოში პირველი გაშხალი მეოცე საუკუნეში .....
- მშენებლობაზე ქართველებთან ერთად ..... სომეხ და აზერბაიჯანელ მუშებს.
- უნდოდათ, რომ მშენებლობა მალე .....
- მშენებლებს უნდა ..... ძალიან სახიფათო სამუშაოები.
- მუშების რაოდენობა ..... და მასალები არქივში .....

**3.7. მოსმენილი ტექსტი (№18) დაალაგეთ თანმიმდევრობით:**

- ფაქტორები, რომლებმაც ხელი შეუშალა ჰესის მშენებლობას მეოცე საუკუნის დასაწყისში.
- ენგურჰესი – კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი.
- ნიკო ნიკოლაძის იდეა.
- ენგურჰესი – ყველაზე დიდი ჰესი ამიერკავკასიაში.
- მეორე ინდუსტრიული რევოლუცია და მსოფლიოს ქვეყნები.
- ჰესის მშენებლობის წლები.

**3.8. სწორად დალაგებული გეგმის მიხედვით (3.7.) დაწერეთ ტექსტის მოკლე შინაარსი:**

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

.....

**3.9. დასვით + ნიშანი სწორ წინადადებასთან და – ნიშანი – არასწორთან:**

ნინოს და ლალის არასოდეს უნახავთ ჰიდროელექტროსადგური.	
ენგურჰესი ააშენეს ნიკო ნიკოლაძის სიკვდილის შემდეგ.	
პირველმა მსოფლიო ომმა ხელი შეუშალა ენგურჰესის მშენებლობის დაწყებას.	
ენგურჰესს 20 წელი აშენებდნენ.	
ენგურჰესი არის ყველაზე დიდი ჰესი ამიერკავკასიაში.	

**3.10. დააკავშირეთ სიტყვები / ფრაზები და განმარტებები:**

- |                               |                                                       |
|-------------------------------|-------------------------------------------------------|
| კაშხალი                       | იდეა, გეგმა რამის გასაკეთებლად, მისაღწევად.           |
| პროექტი                       | ის, რაც ქვეყნის, ერის კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. |
| კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი | ნაგებობა, რომელიც აგროვებს წყლის დიდ მარაგს.          |

**3.11. შეავსეთ ცხრილი:**

**ნიმუში:** იწყებს – დაუწყია

აშენებს	
იყენებს	
იწვევს	

**3.12 შეავსეთ ცხრილი:**

**ნიმუში:** ჰქონია – აქვს

გაჩერებულა	
შეუქმნია	
ყოფილა	

**3.13. კონტექსტის მიხედვით შეარჩიეთ შესაბამისი სიტყვა და ჩასვით გამოტოვებულ ადგილას:**

<b>სამწუხაროდ</b>	<b>საბედნიეროდ</b>
-------------------	--------------------

- ....., მზე გამოვიდა და მდინარეზე წავალთ.
- ....., დედამიწის გარკვეულ ნაწილებში სუფთა წყლის პრობლემა არსებობს.
- განვითარებული ქვეყნები, ....., ეხმარებიან ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებს.
- თბოელექტროსადგურები, ....., ამიანებს ეკოლოგიურ სისტემას.
- ელექტროსადგურების არსებობა, ....., საშიშია როგორც ბუნებისათვის, ასევე ადამიანებისათვის.

**3.14. გამოტოვებულ ადგილებში ჩასვით ვერ ან არ კავშირი:**

- მე ..... მინახავს ენგურჰესი.
- მიუხედავად იმისა, რომ დიდი სურვილი ჰქონდათ, უფულობის გამო კაშხალი ..... ააშენეს.
- ენგურჰესზე ჯერ ..... ვყოფილვარ.
- ჩვენ ..... აგვიშენებია, ინვესტორებმა ააშენეს.
- მათ ..... დაინახეს კაშხლის მთავარი ნაგებობა.

**3.15. შეადგინეთ წინადადებები:**

**ნიმუში:** არ მინახავს ამხელა ჰესი – არასოდეს არ მინახავს ამხელა ჰესი.

- ნინო არ ყოფილა ენგურზე .....
- საქართველოში არ აუშენებიათ ამხელა ჰესი .....
- ინვესტორებს არ უნდოდათ ახალი პროექტის დაწყება .....

**3.16. დააწვილეთ ზმნები და სიტყვები:**

უზრუნველყოფს	ენერგიას
გამოიმუშავეს	მუზეუმი
დაუწყია	ქვეყანას
აქვს	პოტენციალი
გაიხსნება	ფიქრი

**3.17. გადახაზეთ ზედმეტი სიტყვა:**

ა) ჰესი	კაშხალი	მდინარე	ძეგლი
ბ) ინვესტორი	ინჟინერი	პროექტი	მეცნიერი

**3.18. შეაერთეთ სინონიმები:**

გრანდიოზული	აშენება
რელიეფი	ძალიან დიდი
აგება	დაუსრულებიათ
დაუმთავრებიათ	ძნელი
რთული	მიწის ზედაპირი

**3.19. შეაერთეთ ანტონიმები:**

რთული	უმცირესობა
აშენება	მაღლობი
დაბლობი	მარტივი
უმრავლესობა	დანგრევა

საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკა

